

## თეა ბურჭულაძე

### რიგობით რიცხვით სახელთა მართლწერის ზოგი საკითხისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რიცხვით სახელთა მართლწერისას გასათვალისწინებელია, თუ რომელ ჯგუფს განეკუთვნება ესა თუ ის რიცხვითი სახელი – რაოდენობითს, რიგობითსა თუ წილობითს. მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, სიტყვიერად ვწერთ თუ ციფრებით, რიცხვითი სახელი არაბული ციფრებითაა გამოსახული თუ რომაულით. თითოეულ ჯგუფთან დაკავშირებით შემუშავებულია შესაბამისი ნორმა, თუმცა რიცხვით სახელთა მართლწერის ზოგი საკითხი კვლავ დასაზუსტებელია.

ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ ორ-, სამ- და მეტწევრიან რიგობით რიცხვით სახელთა დაწერილობის საკითხზე. ზოგი შემთხვევა მათი მართლწერისა დადგენილი და მოწესრიგებულია, ზოგი კი კვლავ მოითხოვს შესაბამის ნორმათა დადგენასა და სისტემატიზაციას.

წარმოების თვალსაზრისით რიცხვითი სახელის ფუძე მარტივი ან რთული შედგენილობისაა. ამათგან რთული რიცხვითი სახელები შეიცავენ ორ, სამ, ოთხ, ხუთ ან ექვს წევრს. დადგენილი ნორმის მიხედვით, „და“ კავშირით შეერთებული რიცხვითი სახელები იწერება ერთად, ხოლო ყველა დანარჩენი – ცალ-ცალკე [ნორმები 1970: 70].

რიგობითი რიცხვითი სახელის მართებულად დაწერილობისათვის შესაბამისი ნორმაა დადგენილი. კერძოდ, როცა მას ციფრით გამოვსახავთ, მარტივფუძიან რიცხვით სახელს თავში დაერთვის **მე**-თავსართი, ხოლო რთულფუძიანი რიგობითი რიცხვითი სახელი **ე** ბოლოსართით ფორმდება. ეს წესი ეხება ყველა რთულ რიცხვით სახელს, რაც უნდა რთული შედგენილობისა იყოს ის: 105-ე, 1032-ე, 12735-ე, 362724-ე და ა. შ. ასეა არაბული რიცხვითი სახელის მართლწერისას. ხოლო რომაული რიცხვითი სახელები არ დაერთავენ თავსართ-ბოლოსართს, რადგან ისინი თავისთვად გამოხატავენ რიგობითობას [ნორმები 1970: 74].

დაწერისას სირთულე მაშინ იქმნება, როდესაც ამგვარ რიცხვით სახელებს სიტყვიერად ვწერთ. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ბოლომდე არაა გარკვეული ყველა ტიპის რიგობითი რიცხვითი სახელის მართლწერის საკითხი. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ გვხვდება ასეთი შენიშვნა: „რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები ერთად, ერთ სიტყვად დაიწერება“ [ნორმები 1970: 73]. თუმცა ეს პრინციპი ყველგან ვერ გატარდა დაწერილობის სირთულის გამო. ერთგვაროვნება არაა დაცული ორ-, სამ- და მეტწევრიანი რიგობითი რიცხვითი სახელების დაწერილობისას. გვხვდება როგორც ერთად დაწერილობის, ისე შემადგენელი ნაწილების ცალ-ცალკე გაფორმების შემთხვევები: ას მეხუთე/ასმეხუთე, სამი ათას ოცდამეხუთე/სამიათასოცდამეხუთე... სისტემურობის დაცვის თვალსაზრისით გამოიკვეთა რამდენიმე რეკომენდაცია:

1. თუ რიგობითი რიცხვითი სახელი ორწევრიანია (და, რა თქმა უნდა, ერთწევრიანებიც), მაშინ ის ერთად დაიწერება: მეხუთემეტე, ასმეორე, სამასოცდამეხუთე, შვიდასმეცხრამეტე, ცხრასასამოცდამეთვრამეტე...

2. თუ რიგობითი რიცხვითი სახელი სამ- და მეტწევრიანია, მაშინ ის ისე დაიწერება, როგორც შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელი – ანუ, ამგვარი რთული რიცხვითი სახელის თითოეული შემადგენელი წევრი ცალ-ცალკე დაიწერება. მაგალითად: **ათას ორას ოცდამეხუთე, ოთხი ათას მეორმოცე, ექვსი მილიონ შვიდი ათას ოცდამეთვრამეტე...**

მართალია, ყველა დასახელებული რიცხვითი სახელი, ორკომპონენტია და სამ- და მეტშემადგენლიანიც, ერთ სახელად მოიაზრება, მაგრამ ორზე მეტი წევრის გამო ძალიან იტვირთება და ერთ სიტყვად ვერ მოხერხდება მისი დაწერა. ქართული ენისათვის ეს არცაა ბუნებრივი სხვა მეტყველების ნაწილების დაწერისას. ვ. თოფურია შენიშნავდა: „არის შემთხვევები, როცა რთულ რიცხვით სახელებს ერთად წერენ იმის გამო, რომ რომელიმე წევრი ფუძის ან სახელობითი ბრუნვის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ ასე ერთად დაწერილის წაკითხვა შეუძლებელია“ [თოფურია 2005: 88]. ორწევრიანი რიცხვითი სახელები კი ამის საშუალებას იძლევა. ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა უფრო გაამარტივებს და ერთ ყალიბში მოაქცევს რიგობით რიცხვით სახელთა მართლწერის საკითხს.

რა ვითარებაა სიტყვიერად გადმოცემულ სამ- და მეტკომპო-  
ნენტთან რიგობით რიცხვით სახელებთან, თუ ისინი თანდებულს ან  
ნაწილაკებს დაირთავენ? – ჩვენ აღვნიშნავდით, თუ როგორ უნდა  
დაერთოს ციფრით გამოხატულ რაოდენობით და რიგობით რიცხ-  
ვით სახელებს თანდებული ან ნაწილაკი [ბურჭულაძე 2014: 30-31].  
სიტყვიერად გამოხატულ რთულ რიგობით რიცხვით სახელებთანაც  
ანალოგიური ვითარება გვექნება – თანდებულებთან ერთად დაწე-  
რილობისას აღინიშნება რიგობითობის მაწარმოებელი აფიქსებიც.  
ნაწილაკთა დართვის შემთხვევაშიც იგივე პრინციპი შენარჩუნდება:  
**25-ეში, 310-ემ, 1256-ეზე/ოცდამეხუთეში, სამასმეათემ, ათას ორას  
ორმოცდამეთექვსმეტეზე... 22-ელა, 408-ემლა, 1538-ევე, 12258-ევემ /  
ოცდამეორელა, ოთხასრმერვემლა, ათას ხუთას ოცდამეთვრამეტევე,  
თორმეტი ათას ორას ორმოცდამეთვრამეტევემ...**

რიცხვით სახელთა მართლწერისას გასათვალისწინებელია  
ციფრ ერთის გამოყენების ზოგი შემთხვევა. ყველა რაოდენობითი  
რიცხვითი სახელი თვეების დასახელებებთან გამოიყენება ჩვეულებ-  
ისამებრ: 2 (ორი) სექტემბერი, 17 (ჩვიდმეტი) ნოემბერი, 28 (ოცდარ-  
ვა) აპრილი და სხვ. განსხვავებული ვითარებაა ციფრ **ერთთან**. ქარ-  
თულში მას თვესთან ერთად ვამბობთ და ვწერთ, როგორც არა ერთი  
სექტემბერი, ერთი მარტი, არამედ **პირველი** სექტემბერი, **პირველი**  
მარტი... ანუ მას შეესაბამება არა რაოდენობითი, არამედ რიგობითის  
ფორმა. თუმცა კალენდარში ან აბრეზზე წარწერისას გვხვდება შემ-  
დეგი სახის გაფორმება – 1 სექტემბერი, 1 მარტი. ცხადია, ეს პრობ-  
ლემა არ დგას **ერთის** შემცველ სხვა რიცხვით სახელებთან. **ერთის**  
რიგობითის ფორმაა **პირველი** (და არა მეერთე). მაგრამ წესების მი-  
ხედვით გვაქვს არა ოცდაპირველი, ორმოცდაპირველი, არამედ ოც-  
დამეერთე, ორმოცდამეერთე და არა ასპირველი... [არაბული 2004:  
115].

მიუხედავად იმისა, რომ ზეპირ მეტყველებაში ნათლად ჩანს,  
პირველ აპრილზე, პირველ მარტზე და ა. შ. ვსაუბრობთ, ვფიქრობთ,  
წერისას მოყვანილი რიცხვითი სახელის სპეციფიკა გასათვალისწი-  
ნებელია და უმჯობესი იქნება ასეთი შემთხვევების შემდეგნაირად  
გაფორმება: 1-ლი მარტი, 1-ლი სექტემბერი... (ასე უნდა აღინიშნოს  
კალენდარზე თუ სხვადასხვა სახის აბრეზზე).

აქვე იჩენს თავს **პირველი** რიცხვითი სახელის დაწერილობის  
საკითხი, როცა მას ციფრით გამოვხატავთ და დაირთავს ბრუნვის

ნიშანს, თანდებულსა თუ ნაწილაკს. ტრადიციულად, **პირველი** იწერება ასე – **1-ლი**. რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით სხვა ბრუნვებში? სახელობითი ბრუნვის ანალოგიით გვექნებოდა შემდეგი სახის ფორმები: 1-ლმა, 1-ლს, 1-ლის... დაწერილობის თვალსაზრისით გაუმართავია განსაკუთრებით მოთხრობით და მიცემით ბრუნვათა ფორმები. ვფიქრობთ, მოყვანილ რიცხვით სახელებში სისრულისა და სისტემურობისათვის **-ელ** ელემენტი უნდა შენარჩუნდეს, ხოლო სახელობით ბრუნვაში ტრადიციულ **1-ლი** ფორმასთან ერთად პარალელურად შესაძლებელია **1-ელი** დაწერილობაც. თუ **პირველი** მსაზღვრელია რაიმე სიტყვისა, მაშინ ის ისე იბრუნვის, როგორც ჩვეულებრივი თანხმოვანფუძიანი სახელი: პირველი სექტემბერი/1-ლი სექტემბერი; პირველმა სექტემბერმა/1-ელმა სექტემბერმა; პირველ სექტემბერს/1-ელ სექტემბერს; პირველი სექტემბრის/1-ლი სექტემბრის... ხოლო თუ ცალკე ვაბრუნებთ, მაშინაც უნდა შენარჩუნდეს **-ელ** ელემენტი და შემდეგ დაირთოს ბრუნვის ნიშნები:

სახ. 1-ლი//1-ელი	1-ელები	1-ელნო
მოთხრ. 1-ელმა	1-ელებმა	1-ელთა
მიც. 1-ელს	1-ელებს	1-ელთა
ნათ. 1-ელის	1-ელების	1-ელთა
მოქმ. 1-ელით	1-ელებით	–
ვით. 1-ელად	1-ელებად	–
წოდ. 1- ელო	1-ელებო	1-ელნო

თუ ჩვენ მას დავწერთ თანდებულ- ან ნაწილაკდართვით შემდეგნაირად: **1-მა, 1-ს, 1-ში, 1-ილა, 1-მაც, 1-მავე, 1-ზე, 1-თან...**, მაშინ ის წაიკითხება როგორც ერთმა, ერთს, ერთში, ერთზე, ერთილა, ერთმავე, ერთთან... ცხადია, ამავენაირად ვერ გაფორმდება **პირველი-ვე, პირველილა, პირველში, პირველზე, პირველთან, პირველიც, პირველივემ.... პირველის** გამოსახატავად, ვფიქრობთ, მეტი სიცხადისთვის უნდა შენარჩუნდეს **-ლი/ელ** ელემენტი და მერე დაერთოს ნებისმიერი ბრუნვის ნიშანი, თანდებული და ნაწილაკი, რათა არ აირიოს შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელების (ერთ) ფორმებთან. მაშასადამე, **პირველი** გაფორმდება შემდეგნაირად: **1-ელმა, 1-ელს, 1-ელში, 1-ელზე, 1-ელთან, 1-ელივემ, 1-ელიც,**

**1-ელიდა, 1-ელიდან, 1-ელსაც, 1-ელივით, 1-ელმადა, 1-ელამდე, 1-ელის(ა)კენ, 1-ელის(ა)თვის.**

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციები სისტემურს გახდის რიცხვით სახელთა მართლწერის საკითხებს და ერთგვაროვნებაც მეტ-ნაკლებად დაცული იქნება.

## **ლიტერატურა**

**არაბული 2004** – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

**ბურჭულაძე 2014** – თ. ბურჭულაძე, თანდებულიან და ნაწილაკდართულ რიცხვით სახელთა მართლწერისათვის, წიგნში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთოთხმეტე, თბილისი.

**თოფურია 2005** – ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი.

**ნორმები 1970** – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი.

Tea Burchuladze

## **Some Issues of Spelling Ordinals**

### Summary

There is no uniformity when writing ordinal numbers consisting of two, three or more members. In order to follow method some recommendations have been outlined:

1. If an ordinal number consists of two members it is written as an integral, e. g. *asmeore, assamocdamexute, švidasmecxramefe, cxraassamocdametvramefe...*

2. If an ordinal number consists of three or more members it is written as a relevant cardinal number or each member of such a complex number is written separately, e. g. *atas oras ocdamexute, atas oras meormoce, ekvsi milion švidi atas ocdametvramefe...*

If the ordinal number **pirveli** "the first" is an attribute its specifics should be taken into account (its ordinal form is *pirveli* and not *meerte*) and it would be better to be written as follows: *1-li marți, 1-li sektemberi...* (the date should be marked like this in calendars and different signs). If the said number adds a postposition or a particle the element **-el** should precede a person marker, a postposition or a particle, e. g. *1-elma, 1-els, 1-elši, 1-elze, 1-eltan, 1-elivem, 1-elic, 1-eliya, 1-elidan, 1-elsac, 1-elivit, 1-elmaya, 1-elamde, 1-elis(a)ken, 1-elis(a)tvīs.*